

**რადიოაქტიური ელემენტი თორიუმი და მისი მინერალიზაცია შხარის
გრანიტოიდულ მასივში**

რაბი გაბრიელაშვილი

Rabi.gabrielashvili755@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, უნივერსიტეტის ქ
N13

შხარის ურანისა და თორიუმის მადანგამოვლინებები ჩვენმა სამეცნიერო გუნდმა 2020 წელს აღმოაჩინა. მადანგამოვლინება ლოკალიზებულია მდინარე ენგურის სათავეში, შხარის გვიანვარისკულ გრანიტოიდულ პლუტონში, კავკასიონის მთავარი შეცოცების გასწვრივ საველე სამუშაოების დროს პლუტონის ბიოტიტიან პლაგიოგრანიტულ ძარღვში რადიაციის ანომალურად მაღალი შემცველობა დაფიქსირდა, რომელიც შეადგენს $to\ 3\ \mu Sv/h$ -ს. ნორმული რადიაციული ფონი $0,15\ \mu Sv/h$ -ია. ჩვენი უკანასკნელი საველე სამუშაოებით დადგინდა, რომ მაღალ რადიაციულ ფონს ავლენს არა მხოლოდ შხარის პლუტონის ბიოტიტიანი პლაგიოგრანიტის ძარღვი, არამედ შხარის მასივის ამგები ბიოტიტიანი პლაგიომიგმატიტებიც. ეს ყოველივე მოწმობს იმას, რომ შხარის მასივზე თორიუმისა და ურანის მინერალიზაცია ფართომასშტაბიანია.